პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 22 ნოემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

266 (964)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განმანათლებლური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კაპ. სტრ.

23 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის დარბაზში მოწვეულია ტფილისის აღმასკომის მორიგი სხდომა, თემ-აღმ.სკომების თავმჯდომარეების თანდასწრებით.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1) ტფილისის აღმასკომის 1925/26 წ. ბიუჯეტის განხილვა.

2) ინფორმაცია ადგილებიდან.

პრეზიდიუმი.

## ახალწვეულო! გულმოდგინეთ შეუდექი სამხედრო-პოლიტიკურ სწავლას.

სწერე შენს გაზეთში.

ახალწვეულების კარანტინში ყოფნის ვადა ბევრ ნაწილებში დამთავრდა. ახალგაზრდა წითელ არმიელები უკვე გადავიდენ ასეულებში და შეუდგენ თავიანთ მოვალეობის შესრულებას.

მათ ბევრი სამუშაო უძევთ წინ.

წითელი ჯარის რიგებში ყოფნის მთელ განმავლობაში ახალწვეულებმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ სამხედრო საქმე, გათვითცნობიერდენ პოლიტიკურად და კულტურულად, უნდა შეიქნენ მშრომელი ხალხის და საბჭოთა ხელისუფლების ღირსეული დამცველები.

ამისათვის კი საჭიროა ენერგია, მუყაითად მოპყრობა თავის ვალდებულებებისადმი.

არც ერთი წუთი ტყუილა უბრალოდ არ უნდა იქნას გაცდენილი. ზარმაცობას, თავაშვებულობას და გულგრილობას არ აქვს ადგილი წითელ ჯარში.

თითეული წითელი მებრძოლი დისციპლინიანობის, შეუდრეკლობის, შეგნებულობის და თავისი მოვალეობისადმი თავდადებულობის საუკეთესო განსახიერება უნდა იყოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიაღწევს ის თავის მიზანს—გახდეს საბჭოთა ქვეყნის ერთგული და ღირსეული გუშაგი.

სასიხარულოდ უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა მებრძოლები დიდი ხალისით და აღფრთოვანებით შეუდგენ სამხედრო სწავლებას. ისინი კმაყოფილი არიან თავისი ახალი ყოფით და მუშაობით.

ამას გვეუბნება მათ მიერ მოწერილი კორესპონდენციები ჩვენს გაზეთში.

საჭიროა ეს ხალისი და აღფრთოვანება მათ ბოლომდი შერჩეს. მაშინ მათი სამხედრო-პოლიტიკური სწავლება უფრო ნაყოფიერი იქნება.

ახალ წვეულები ამ თავითვე უნდა დაუკავშირდენ გაზეთ „წითელ არმიელს".

„წითელ არმიელი" მათი გაზეთია. ამიტომაც ახალგაზრდა წითელ მებრძოლებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ თავის გაზეთში.

გაზეთის საშუალებით მათ უნდა გააცნონ სხვა ნაწილებსა და მთელ წითელ არმიას თავისი მიღწევები სამხედრო-პოლიტიკურ სწავლების დარგში, თავისი ყოფა—ცხოვრება და სხვა.

ახალწვეულო, გულმოდგინეთ და ბეჯითად შეუდექი სამხედრო საქმის შესწავლას და პოლიტიკურ მეცადინეობას.

განამტკიცე დისციპლინა. პირნათლად შეასრულე უფროსების ყველა დავალებები.

ყოველივე ამის შესახებ ხშირად მოიწერე შენს გაზეთში!

## ახალი რადიო-ამბები

### პოლონეთის ახალი მთავრობის შედგენა.

#### პოლონეთის პრეზიდენტმა მიანდო სკშინსკის კოალიციური მთავრობის შედგენა.

პოლონეთის მინისტრმა სკშინსკიმ ხელმეორედ განაცხადა უარი მთავრობის შედგენაზე. ამის შემდეგ პრეზიდენტ ვოიცეხოვსკიმ მიანდო გაბსკის მთავრობის ყოფილ მინისტრ რაშკევიჩს მთავრობის შედგენა.

მაგრამ დილით სკშინსკიმ კვლავ ინახულა პრეზიდენტი, რომელმაც მიანდო მას კოალიციური მთავრობის შედგენა.

სკშინსკის იმედი აქვს ერთ დღეში შეადგენს მთავრობას. მაგრამ შეიძლება წინასწარ ითქვას, რომ ეს მთავრობა ვერ იქნება ხანგრძლივი.

### სამოქალაქო ომი ჩინეთში

#### ჩჟან-ძო-ლინის მოლაპარაკება სახალხო არმიელებთან.

გრძელდება ჩჟან-ძო-ლინის მოლაპარაკება სახალხო არმიელებთან.

ხმებია, რომ გარდა ზოგიერთ ოლქების დაცლისა, ჩჟან-ძო-ლინი ვალდებულია მოამარაგოს ფინ-იუ-სიანი სამარ მოწყობილობით და დაუთმოს საერთო სარგებლობისთვის ნავთსადგური ტიან—ცზინი.

ჩჟან-ძო-ლინს თანდათან გაჰყავს ჯარები ჩჟილის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილიდან.

მუკდენის ჯარები გავიდენ ბაოტინის ოლქიდან, რომელიც ამ ჟამად უკავია მეორე სახალხო არმიას.



ჩინეთის სახალხო არმიის ჯარისკაცები.

### კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის ახალი სარდალი ამხ. ლევანდოვსკი.

ამხ. ლევანდოვსკის ბიოგრაფია.

კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის ჯარების სარდლად დანიშნული ამხ. მიხეილ კარლოს ძე ლევანდოვსკი დაიბადა 1890 წელში. დაამთავრა გროზნოს რეალური სასწავლებელი. სამხედრო განათლება მიიღო ვლადიმირის სამხედრო სასწავლებელში, რომელიც დაასრულა 1912 წელს.



წითელ არმიაში სამსახური დაიწყო 1918 წლის თებერვალში წითელი არმიის პასუხისმგებელ ორგანიზატორის თანამდებობაზე გროზნოს რაიონში. 1918 წლის ავლისში არჩეულ იქნა თერგის რესპუბლიკის სამხედრო კომისრად. ბიჩერახოვის აჯანყების დროს დანიშნულ იქნა თერგის რესპუბლიკის წითელი არმიის სარდლად. 1919 წელს დაინიშნა მე-11 არმიის სარდლად, შემდეგ ცხენოსანი დივიზიის უფროსად, მე 12 არმიის სარდლის თანაშემწედ, მე-7 ცხენოსან დივიზიის უფროსად, მე-9 არმიის სარდლად. 1921 წლის ივნისში დაინიშნა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის თანაშემწედ.

1923 წლის დეკემბერში გადაყვანილ იქნა უკრაინისა და ყირიმის შეიარაღებულ ძალთა სარდლის თანაშემწედ, ხოლო 1924 წლის აპრილში დაინიშნა თურქესტანის ფრონტის ჯარების სარდლად.

სამოქალაქო ომში ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას 1918 წლიდან 1922 წლამდი. სხვათა შორის ამხ. ლევანდოვსკი მონაწილეობდა კორნილოვის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბრძოლო წარჩინებისთვის სამოქალაქო ომში ის დაჯილდოებულია წითელი დროშის ორი ორდენით. არის რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრი.

### ჩეხო-სლოვაკიის მუშა ახალგაზრდობის დელეგაცია მოსკოვში.

მოსკოვში ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკიის მუშა ახალგაზრდობის დელეგაცია, რომელშიაც შედის სამი კომუნისტი და სამი სოციალ-დემოკრატი.

## ნაწილების სამხკორ—ორგანიზატორების მუშაობა.

ჩვენი ჯარის ყველა ნაწილებში ადგ. პარტ. ორგანოების მიერ გამოყოფილი არიან სამხკორ-ორგანიზატორები, რომელთა მოვალეობას შეადგენს გაუწიონ სათანადო ხელმძღვანელობა ნაწილის სამხკორთა მუშაობას და მათი წრეების მეცადინეობას.

გარდა ამისა სამხკორ-ორგანიზატორების მოვალეობას შეადგენს დაიკავონ მჭიდრო კავშირი, როგორც ცოცხალი ისე წერილობითი, ჩვენი გაზეთის რედაქციასთან.

ჩვენდა სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ სამხკორ-ორგანიზატორების კავშირი რედაქციასთან დღემდე ძლიერ სუსტია. მით უმეტეს ეს ითქმის რედაქციაზე კარგა მანძილით დაშორებულ ნაწილების სამხკორ-ორგანიზატორებზე. რატომაა აუცილებელი მათი კავშირი რედაქციასთან?

ნაწილებში ხშირად სამხკორთა შორის ადგილი აქვს რაიმე ნიადაგზე სერიოზულ უკმაყოფილებას. ამ მოვლენის აღმოფხვრისათვის აშკარაა რედაქციასაც შეუძლია მიიღოს სათანადო ზომები თავისი მხრით. მხოლოდ ყოველივე ამას რედაქცია მაშინ შესძლებს, თუ სამხკორ-ორგანიზატორები აცნობებენ მას საქმის შინაარს და ამ საქმეზე თავიანთ შეხედულებას.

ამასთანავე ერთად ადვილი შესაძლებელია, რომ რომელიმე ნაწილში სამხკორები გამოსთქვამენ უკმაყოფილებას თვით რედაქციის მიმართ მათი კორესპონდენციების დაკარგვის, ანუ არ გაშვებისა და სხვათა გამო. ამ შემთხვევაში სამხკორ-ორგანიზატორმა უნდა გამოიძიოს თუ რა ნიადაგზეა წარმოშობილი უკმაყოფილება და საკითხის საბოლოო გამორკვევისათვის მიმართოს რედაქციას უკანასკნელი ყოველთვის მზად იქნება თავისი მხრით აცნობოს სამხკორ-ორგანიზატორებს ყოველივე დაწვრილებით მათ შეკითხვაზე.

გარდა ამისა, ჩვენ ვიცით რომ დებულების თანახმად სამხკორ-ორგანიზატორები გამოიყოფიან თვით სამხკორების შემადგენლობიდან, რომლებიც უფრო კარგათ მომზადებულია და პოლიტიკურად გათვითცნობიერებული. გამოყოფილი სამხკორ-ორგანიზატორე აუცილებლად უნდა თანამშრომლობდენ ჩვენს გაზეთში და სისტემატიურად უნდა აშუქებდენ ნაწილის ყოფა-ცხოვრებას, სამხკორების მუშაობას, აქ მიღებულ მიღწევებს, მუშაობის ხელისშემშლელ პირობებს და სხ. ასევე უნდა იქცეოდენ ტერ-ნაწილების სამხკორ-ორგანიზატორებიც. უკანასკნელებმა მთავარი ყურადღება უნდი მიაქციონ ტერ-სამხკორების მუშაობას ნაწილში ტერ-შეკრების დროს და სოფლად კი ტერ-შეკრებათა შუა.

თავიანთი თავდადებული და ბეჯითი მუშაობით, როგორც ჩვენს, ისე ადგ. კედლის გაზეთებში, სამხკორ-ორგანიზატორები მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყონ ნაწილის მთელი შემადგენლობისათვის. მთელი მათი მუშაობა მიმართული უნდა იქნას იქითკენ, რომ წითელ არმიელთა (ამ ჟამად ახალწვეულთა) ფართო მასამ მიბაძოს მათ მაგალითს და გახდენ ნამდვილი სამხკორები, კარგათ მომზადებულები და გათვითცნობიერებულები.

ამის შემდეგ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ნაწილების სამხკორ-ორგანიზატორები გამოასწორებენ ამ ნაკლს. დაიკავებენ მჭიდრო კავშირს ჩვენი გაზეთის რედაქციასთან და მასთან შეთანხმებით სათანადო სიმაღლეზე დააყენებენ სამხკორთა მუშაობას ყველა ნაწილებში.

ემი.

## უცხო სიტყვათა ახსნა.

**პრემია**—ჯილდო, რაიმე საქმეში დამსახურების, ან წარჩინების გამო.

**კოალიციური მთავრობა**—სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენლებისაგან შემდგარი მთავრობა.

**პროდუქცია**—წარმოების შედეგი; ნაყოფიერება.

**ორდენი**—ჯილდო დამსახურების გამო მიცემული.

**ბიოგრაფია**—ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა.

**მონოპოლია**—განსაკუთრებული უფლება რაიმეთი სარგებლობის, სახელმწიფოს სავაჭრო მონოპოლია—როცა ვაჭრობით წარმოების უფლება მხოლოდ სახელმწიფოს ხელშია.

**სისტემა**—წესი.

**რაიონი**—განსაზღვრულ ფარგლებში მოქცეული რაიონი.

## პროტესტი მუსოლინის საპატივცემო მანიფესტაციის წინაალმდეგ.

იტალიის დეპუტატთა პალატაში კომუნისტ მაფფიმ განაცხადა პროტესტი მუსოლინის საპატივცემოდ გამოსულ მანიფესტაციის წინაალმდეგ. მაფფიმ განაცხადა, რომ ეს მანიფესტაცია სრულებით არ გამოხატავდა იტალიის ხალხის სულის კვეთებას.

ამ სიტყვებზე რამოდენიმე ფაშისტი მივარდა მას. ატყდა აურ-ზაური. კომუნისტი დეპუტატები ძალით გაიყვანეს სხდომის დარბაზიდან.

## საბჭოთა კავშირში.

### ამხ. ვოროშილოვის დაჯილდოება წითელი დროშის მესამე ორდენით.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა დაჯილდოებულ იქნას რევსამხსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვოროშილოვი დამსახურებისთვის ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად ყოფნის დროს.

### ნორვეგიის დელეგაციის მისალმება ამხ. კალინინს.

ნორვეგიის მუშათა დელეგაციამ გაუგზავნა რსფსრ—სა და საკავშირო ცაკის თავმჯდომარეს ამხ. კალინინს შემდეგი მისალმება:

„ნორვეგიის პროფკავშირთა დელეგაცია გულითად სალამს გიგზავნის თქვენი ორმოცდაათი წლის იუბილეზე. ვადასტურებთ მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ძლიერების ზრდას მთელი ქვეყნის მუშათა კლასის საკეთილდღეოდ.“

## საბჭოთა აღმშენებლობა.

### საშვილიშვილოსაქმის დამთავრება

საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მასალებიდან).

სოფელ ასკანაში (გურია)უკ- ლი ტეხნიკოსი.

39 დასრულდა წყალსადენის გაყვანა. უწყლობის გამო სოფელს ძლიერ უჭირდა. გლეხებმა ძველი მთავრობების დროს ბევრჯელ სცადეს დაეწყოთ წყალსადენის გაყვანა, მაგრამ მათ არავითარ დახმარებას არ აძლევდენ. 1924 წელს სოფელმა მიმართა საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს შესაფერი თხოვნით.

წელს, ივლისში წყალთა მეურნ. სამმართველოს ხელმძღვანელობით გლეხები შეუდგენ წყალსადენზე მუშაობას. მუშა ხელი უფასოთ გამოდიოდა და ტეხნიკურ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა წყ. მეურ. სამმართველოს მიერ გამოგზავნილი ტეხნიკოსი.

წყალსადენის სიგრძე უდრის 2 ნახევარ ვერსს და იგი დაჯდა 9 ათას მანეთამდე.

წყალსადენს გლეხების დადგენილებით ეწოდა დამსახურებული პედაგოგის, ივანე გამყრელიძის, რომელსაც არა ერთი და ორი მომზადებული ტეხნიკოსი მიუცია საქართველოსთვის, სახელობის წყალსადენი.

ამნაირათ საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით, სოფ. ასკანაში დასრულდა საშვილი—შვილო საქმე, რომელზედაც გლეხებს მხოლოდ ოცნება შეეძლოთ ძველი რეჟიმების დროს.

დ.

## შრომის ინსტიტუტის დაარსება.

საქ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულმა სამეცნიერო-სამრჩევლო საბჭომ გამოიმუშავა გეგმა ტფილისში შრომის ინსტიტუტის დაარსების შესახებ. ინსტიტუტი შეისწავლის შრომის პირობებს და გამოიმუშავებს ზომებს შრომის პირობების გაუმჯობესებლად და თვალყურს ადევნებს შრომის ნაყოფიერების მომატებას.

ინსტიტუტს ექნება ექვსი განყოფილება. ქიმიურ-ჰიგიენური, ბაქტერიოლოგიური, ფსიქო-ტეხნიკური, სტატისტიკური და წიგნთსაცავი.

ინსტიტუტის შენობა შესდგება 25 ოთახისაგან და მისი მოწყობა დაჯდება 60 ათას მანეთამდე. ინსტიტუტში იმუშავებს 22 სპეციალისტი და 10 ტეხნიკური მუშაკი.

ასეთი ინსტიტუტი საქართველოში პირველია, ხოლო მოსკოვში კი არსებობს უკვე ოთხი ინსტიტუტი.

აღნიშნულ ინსტიტუტს უაღრესი მნიშვნელობა ექნება შრომის ნაყოფიერების გაუმჯობესების საქმეში.

დ.

## საბჭოთა ავტომრეწველობის დელეგაცია.

ამ დღეებში დასავლეთ ევროპაში გაემგზავრება საბჭოთა ავტომრეწველობის და ვაჭრობის წარმომადგენელთა დელეგაცია ავტომობილების შესაძენად.

## შეისწავლე 1905 წლის რევოლიუცია.

### მოსკოვის შეიარაღებული აჯანყება.

3 (16) დეკემბერს მეფის მთავრობამ დააპატიმრა პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭო. დაპატიმრებას გადარჩენილ დეპუტატთა საბჭოს ნაწილმა მოუწოდა მუშებს საყოველთაო გაფიცვებისკენ.

გაფიცვები დაიწყო 8 (21) დეკემბერს, მაგრამ ისე ერთსულოვნად კი ვერ ჩატარდა, როგორც ოქტომბერში. მუშები მოქანცული იყვნენ წარსული ბრძოლითა და უმუშევრობით. ხოლო ამას გარდა მათ იცოდენ, რომ გაფიცვებით თვითმპყრობელობას ვერ დაამხობდენ, ამისთვის საჭირო იყო უფრო ძლიერი საშუალება—შეიარაღებული აჯანყება. მაგრამ პეტერბურგი ავსებული იყო მაშინ მეფის ერთგული გვარდიელ პოლონელებით. შეიძლებოდა გათვალისწინება, რომ მეფის მთავრობა შესძლებდა აჯანყების ჩაქრობას, ხოლო პეტერბურგის მუშათა განადგურება საბოლოო ზიანს მიაყენებდა რევოლიუციას.

რევოლიუციონური ბრძოლის ცენტრი ხდება მოსკოვი. იმ დროს, როცა პეტერბურგის გაფიცვები ნელდება, მოსკოვში ის გადადის შეიარაღებულ აჯანყებაზე.

მოსკოვში იმედი იყო შეიარაღებულ აჯანყების გამარჯვების. მოსკოვის ლეგიონებში უკვე დაწყებული იყო რევოლიუციონური დუღილი.

4 (17) დეკემბერს აქ შემდგარი იქნა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. იმედი იყო, რომ აჯანყებას დაეხმარებოდა ჯარისკაცები.

გაფიცვების დაწყებისთანავე გაჩნდა შეტაკებები მუშებსა და პოლიციას შორის. მოსკოვის ქუჩებზე გამოდიან რაზმელები და იარაღს ჰყრიან პოლიციას. დრაგუნები და ყაზახები სდევნიან მიტინგებს. მუშები ტვერის ქუჩაზე აგებენ ბარიკადებს. დრაგუნები იერიშით მიდიან ბარიკადებზე. დაჰხოცეს რამოდენიმე კაცი. ბარიკადების რიცხვი იზრდება.

ჯარისკაცები ყოყმანობენ. მათ არ ყოფნით გამბედაობა გადავიდენ რევოლიუციონურ ხალხის მხარეზე, ხოლო რევოლიუციონურ ორგანიზაციებმა ვერ მოახერხეს მათი გამოყვანა ყაზარმებიდან ხალხზე დასახმარებლად. მთავრობამ ისარგებლა ჯარისკაცების გაუბედაობით: ნაწილი განაიარაღა, ნაწილის გული მოიგო სხვა და სხვა დათმობით, უფრო არასაიმედონი თავიდან მოიშორეს და ამ რიგად შეანელა რევოლიუციონური მოძრაობა ჯარისკაცებს შორის.

რაზმელთა ათიათასიანი ჯგუფები დარჩა განმარტოებით, მეფის თვითმპყრობელობის ჯარებთან პირისპირ. მაგრამ რაზმელებს თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა მთელი მშრომელი მოსკოვი. რაზმელებს წინასწარ აძლევდენ ცნობას ჯარების მოახლოების შესახებ, ეხმარებოდენ მათ დამალვაში, ბარიკადების აგებაში. საყოველთაო თანაგრძნობის გამო გენერალ დუბასოვმა ვერაფერი მოუხერხა რევოლიუციონურ რაზმებს, მიუხედავად იმისა, რომ მან აამუშავა არტილერია, რომელიც ანადგურებდა მოსკოვის ქუჩებს. დუბასოვს მოუვიდა დამხმარედ თავისი სისასტიკით ცნობილი სემიონოვის გვარდიის ლეგიონი.

ამ დღიდან აჯანყება ნელდება. რაზმელები მოიქანცენ უთანასწორო ბრძოლაში; ამავე მდგომარეობაში იყო მოსკოვის მოსახლეობაც. ერთხანს გამაგრებული იყო მუშური პრესნია. მაგრამ არტილერიამ ისიც დაამარცხა. ყუმბარებმა ცეცხლი გაუჩინა ფაბრიკებსა და სახლებს: კვამლსა და ცეცხლში იბრძოდა პრესნია, მაგრამ 17 (30) დეკემბერს ისიც დამარცხებულ იქნა.

გამარჯვებული ჯალათები ზეიმობდენ მუშათა სისხლზე. განსაკუთრებული სიმხეცე გამოიჩინა სემიონოვის ჯარისკაცებმა. ორასზე მეტი მოკლული და კიდევ მეტი დაჭრილი შეიწირა მოსკოვის აჯანყებამ.

მოსკოვის აჯანყების დამარცხება მთელ რევოლიუციის დამარცხება იყო. აჯანყებები სხვა ქალაქებშიაც მოხდა (როსტოვში, ხარკოვში, სორმოვში და სხვა) მოსკოვის დამარცხებით აჯანყებები ყოველგან ჩახშობილ იქნა.

მაგრამ მიუხედავად დამარცხებისა, მოსკოვის აჯანყებამ დაამტკიცა, რომ თვითმპყრობელობასთან შეიარაღებული ბრძოლა შესაძლებელია წარმატებით.

მხოლოდ საჭიროა მეტი მომზადება, გაბედული მოქმედება თავდასხმა, მტრების დაუზოგავი განადგურება და არა მხოლოდ თავდაცვა. ასეთი გაკვეთილი გამოიყვანა მოსკოვის აჯანყებიდან ამხ. ლენინმა.

ეს გაკვეთილი გამოიყენა მუშებმა 1917 წელში.

ი. ფ.

## ახალწვეულო, დაეწაფე სამხედრო სწავლას.

### რა და რა წესები უნდა დაიცვა შაშხანის წმენდის დროს.

შაშხანის საწმენდად თვითეულ მსროლელს ეძლევა საწმენდი, ზუმბის ბალიში, საშალი და სხვა.

მაგრამ, გარდა ამისა, თვითეულ მსროლელმა უნდა გააკეთოს (ათასეულის უფროსის მითითებით) პატარა ხის ნიჩბები და ჩხირები სხვა და სხვა ზომის; ამ ხელსაწყოებით მსროლელმა უნდა გამოსწმინდოს ჭუჭყი შაშხანის სხვა და სხვა ნაწარმიდან და ჭრილებიდან.

საწმენდ ძენძში არ უნდა იყოს ხიწვები, ჩვარი უნდა იყოს რბილი და სუფთა.

შაშხანის წმენდის დროს ყოველთვის დაცულ უნდა იქნას შემდეგი წესები:

1) ყველა საწმენდი საშუალება უნდა იყოს სუფთა.

2) დაშლილი შაშხანის ნაწილები უნდა დააწყო სუფთა ტილოზე ან ჩვარზე.

3) არავითარ შემთხვევაში არ უნდა იხმარო ლითონის ჩოთქი, სახეხი ქაღალდი, აგური, სილა და სხვა.

4) შაშხანის წმენდის დროს უნდა დაიცვა ერთგვარი წესი: უნდა დაიწყო ერთი ბოლოდან და არ უნდა გამოსტოვო რაიმე უმნიშვნელო ნაწილიც კი.

5) თვით უმნიშვნელო ჟანგიც კი, სადაც არ უნდა აღმოჩნდეს ის, ჯერ უნდა შეალბო ზეთით, შემდეგ უნდა მოსწმინდო ჩვარით. ჟანგი ლულაში გამოიწმინდება მხოლოდ ზეთიანი ჩვარით.

6) დენთის ნალექი გამოწმენდილ უნდა იქნას ნავთიანი ჩვარით, რის შემდეგ გაწმენდილი ადგილები უნდა გაამშრალო და დაზეთო.

7) შაშხანის დაშლის დროს მსხვილი ხრახნები უნდა მოუშვა და მოუჭირო საშალის ფართე თავით, წვრილი ხრახნები,—ვიწრო თავით.

8) შაშხანის ლითონის ნაწილები ან სალტეები შეიძლება ჩაშვებულ ან დაძრულ იქნან ხის ჩაქუჩებით.

9) გაწმენდის შემდეგ უნდა დაზეთო ნაწილები მსუბუქად.

10) გახსოვდეს, რომ გაწმენდისა და დაზეთვისთვის საჭიროა მხოლოდ ძენძი, ჩვარი, ზეთი და ნავთი, სხვა არაფერი არ უნდა იხმარო.

პ.

## ჯანსაღ სხეულში ძლიერი სულია.

### დაიცავი სისუფთავე, ის ჯანსაღობის მთავარი პირობაა.

მხოლოდ ჯანსაღ ადამიანს შეუძლია იყოს მხნე, ენერგიული, ამტანი, ღონიერი.

ყოველთვის მხნე და მხიარულ განწყობილებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ომის დროს.

თუ კარგი, მხნე განწყობილებაა, ყოველი საქმე გვადვილება. კარგი სულიერი განწყობილება აძლიერებს ნაწილის ძალას.

ერთი სიტყვით წითელ არმიელის ჯანსაღობაზე დამოკიდებულია ნაწილის ბრძოლის უნარიანობა.

მართლაც, ბრძოლა თვითეულ წითელ არმიელისაგან მოითხოვს მეტად დიდ გონებრივ და ფიზიკურ მუშაობას. ხშირად ბრძოლა ისეთ პირობებს ჰქმნის, რომ აქ მებრძოლს შეეძლება საბრძოლო ამოცანის ასრულება, თუ რომ ის ჯანსაღია. აი რატომაა, რომ წითელ არმიაში ყურადღება ექცევა მებრძოლთა ჯანსაღობას, მისი ძალის დაცვასა და განვითარებას. ამისათვის წითელ არმიაში არსებობს სანიტარული ნაწილები, სამკურნალოები, ექიმები, რომლებიც ზრუნავენ წითელ არმიელის ჯანმრთელობის შენახვასა და გამაგრებაზე. მაგრამ უმთავრესად ეს დამოკიდებულია თვით წითელ არმიელსა და მის მოქცევაზე. რამდენაც შეგნებულად უყურებს წითელი არმიელი თავის ჯანსაღობას, რამდენადაც წესიერად ასრულებს ის ექიმის რჩევა-დარიგებას, მით უფრო ის ჯანსაღი და გამძლე იქნება.

თავი და თავი პირობა ჯანსაღობისთვის ეს არის სისუფთავე. სისუფთავე იცავს ავადმყოფობისაგან. უნდა დაიცვა სისუფთავე საცხოვრებელ და სამუშაო ბინაში, უნდა გეჭიროს თავი და ტანსაცმელი სუფთად და ფაქიზად. არას დროს არ უნდა დააფურთხო, პაპიროსის ნამწვი არ უნდა დაჰყარო და არ უნდა დაანაგვიანო იატაკი. რაც შეიძლება ხშირად უნდა გაალო ყაზარმის ფანჯრები და კარები და გასწმინდო ჰაერი.

ყურადღება უნდა მიაქციო, რათა ფეხისადგილებში სისუფთავე იყოს. ნუ გააჭუჭყიანებ ფეხისადგილს თვითონ და სხვებსაც თვალყური ადევნე ამ მხრივ.

სამზარეულოში მორიგოების ან დღიურობის დროს თვალყური ადევნე სისუფთავეს.

თვალყური ადევნე სუფთად იქნას შენახული სურსათი და საჭმელი.

თვითეულმა თვალყური უნდა ადევნოს ჭურჭლის, კოვზების, ქვაბების სისუფთავეს და სხვა.

საჭიროა ყოველდღიურად გაბერტყო და ხშირად გაამზეურო საგებ-სახურავი და ტანსაცმელი.

ამ რიგად დაიცავ რა ყოველგან, ყოველთვის და ყველაფერში სისუფთავეს, ამით შენ დაიცავ ჯანმრთელობას, ხოლო მეცადინეობით, სპორტით გაამაგრებ სხეულს. ჯანსაღობა მოგცემს ღონეს, მხნეობას, ამტანობას, ე. ი. ყველაფერს, რაც საჭიროა მეომრისთვის როგორც მშვიდობიან, ისე ომის დროს.

პ.

# კარანტინი თავდება. ახალ წვეულებო! ბეჯითად და ერთგულად მოკიდეთ ხელი სამხედრო და პოლიტიკური ცოდნის შეძენას. ფოლადისებური დისციპლინით განამტკიცეთ წითელი არმიის რიგები!

## პოლიტმუშაობა არტლეგიონის ახალწვეულებში.

ლეგიონის ახალწვეულებთან გაძლიერებული ტემპით სწარმოებს პოლიტიკური ხასიათის მუშაობა. პოლიტსაათები ყოველ დღე ტარდება მათთან, დიდი ინტერესით უსმენენ და დიდ აქტივობას იჩენენ ყველა საკითხების სათანადოთ გაშუქების საქმეში შეკითხვების შეტანით.

ლეგიონში ამ ჟამად ჩამოყალიბებულია სულ 14 ჯგუფი. მეთოდიურ მუშაობის შესახებ ხშირად კეთდება მოხსენებები და მუშავდება სხვა და სხვა თემები. ყველა ჯგუფები დაკმაყოფილებულია საჭირო რაოდენობის რვეულებითა და ფანქრებით.

სამხკორი ნიჟარაძე.

## კარანტინიდან წითელ ყაზარმაში.

კვირა დილაა... ექვს საათზე წითელ არმიელები ჟრიამულით აიშალენ საწოლებიდან და გაიქცენ წყალსადენის მილთან პირის დასაბანათ. ჩაის შექცევის შემდეგ უფროსებმა გამოგვიყვანეს ლეგიონის ეზოში და გამართეს საუბრები თუ როგორ უნდა შევხვდეთ კარანტინიდან გადმოსულ წითელ არმიელებს და მრავალი სხვა.

საუბარმა კარგა ხანი გასტანა. უეცრივ მოგვესმა ახალწვეულების სიმღერა, რომლებიც გადმოყავდათ კარანტინიდან ყაზარმებში. ისინი მხიარული სახეებით მოემართებოდენ ჩვენსკენ.

ჩვენი ყურადღება მყისვე მიიქცია ახალწვეულების სიმღერამ. გახიარულდენ ამხანაგები. დღეიდან უკვე ახმაურდება ჩვენი ყაზარმის კედლები და გაჩაღდება მუშაობა.

გახარებული შევეგებეთ ამხანაგებს და მივაწვიეთ ყაზარმებში, რომლებიც ცნობის მოყვარეობით შეუდგენ მის დათვალიერებას და ყველაფერზე მოითხოვდენ ახსნა განმარტებას, რომლებსაც სიამოვნებით ვაკმაყოფილებდით.

ამხანაგებს საერთოდ დიდი ინტერესი ემჩნევად ყველაფრისადმი.

სამხკორი ნ. ზვიადაძე.

## ჩვენი მადლობა მათ.

**მეოთხე ლეგიონის მეხუთე ასეული.**

მეხუთე ასეულის წითელ არმიელები ყოველმხრივ კარგათა ვართ მოწყობილი. ადგილობრივი ორგანიზაციები ყოველმხრივ გვეხმარებიან და არაფერს არ იშურებენ, რომ ჩვენს შორის შეიტანონ საერთო განათლება.

ამ ორგანიზაციებში აღსანიშნავია თავიანთი დახმარებით ადგ. აღმასკომი და პარტკომი, პოლიტ-განათლების განყოფილება და კომუნალური მეურნეობა.

ჩვენ გულწრფელ მადლობას უცხადებთ ზემოხსენებულ ორგანიზაციების მესვეურებს ამხ. ურუშაძეს, ნიორაძეს, ტყემალაძეს და ბუჯანაძეს.

იმედი გვაქვს შემდეგშიაც არ მოგვაკლებენ ასეთ მზრუნველობას და ყოველმხრივ დაგვეხმარებიან ტერ-სისტემის უმტკივნეულოთ გატარების საქმეში.

წ. არმიელი ვ. ქებაძე.

## დაათავეს გამოცდები.

**მე 5 ლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლა.**

ჩვენს სკოლაში უმცროს მეთაურთა გამოცდები დაიწყო 17 ნოემბრიდან, რომელიც გაგრძელდა ოთხი დღე. სკოლის პროგრამის გამეორების დროს კურსანტებს ეტყობოდათ, რომ კარგად ჰქონდათ შეთვისებული მთელი კურსი. ასე გამოარკვია გამოცდებმა. კურსანტების უმეტესობა კარგად გადიან.

ამ დღეებში მოხდება ამხანაგების გამოშვებაც, რის შემდეგ ისინი გადიგზავნებიან ლეგიონის წერტებზე ახალწვეული ამხანაგების ხელმძღვანელებად. გამოცდების საერთო შედეგები ამტკიცებენ, რომ ამხანაგები შესძლებენ იმ საქმეების პირნათლად შესრულებას, რომლებიც მათ ევალებათ. იმედია ამ იმედებს გაამართლებენ ისინი და ღირსეული მეთაურები იქნებიან ჩვენს წითელ ჯარში. გაუმარჯოს მათ მომავალ მუშაობას.

ვანო ნოზაძე.

## ჩვენი საქმიანობა.

**მე 3 ლეგ. საკ ვშირო ოცეული.**

ოცეულში სპეციალური მეცადინეობა სისტემატიურათ სწარმოებს, ჩვენთან ერთად მეცადინეობას ესწრებიან ლეგიონის სკოლისა და ათასეულის წითელ არმიელებიდანაც, რომლებიც ძლიერ მონდომებულად ეკიდებიან საქმეს.

ამ ჟამად გავდივართ საველე ელსმენის სქემებს. მეთაური-ხელმძღვანელები საკმაოდ მომზადებულები გვყავან. გვაკლია მოკავშირე შეველის პირველი მხოლოდ ზოგიერთი საჭირო იარაღები, რომლებიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს ნაწილს.

იმედია ჩვენი ნაწილის უფროსი დროზე მიიღებს საჭირო ზომებს და უზრუნველყოფს ოცეულს ამ ნაკლისაგან, რის შემდეგ ჩვენ კიდევ უფრო გაუმჯობესებთ შედეგებით მეცადინეობას.

## ასეთი მუშაობა ნაყოფს ვერ მოგვცემს.

**მეექვსე ლეგიონის მესამე ათასეული.**

მოკლე დროში ჩვენ მოგველის შეკრება 1904—5 წლებში დაბადებულ მწვევამდელების.

საჭირო არის შეკრებამდი ორგანიზაციულად ჩამოყალიბოთ ყოველივე მუშაობა, როგორიც არის წერტების მოწყობა, სხვა და სხვა ინვენტარის შეძენა, ლენკუთხეების და სამხედრო კუთხეების მოწყობა, გამოყოფა კომ-კავშ. ორგანიზაციიდან პოლიტხელებისა და მათი მომზადება რომლის შემდეგ შესაძლებელი შეიქნება თვით შეკრების ნაყოფიერად ჩატარება.

მაგრამ საკითხი იბადება, კეთდება ყოველივე ეს დღეს? მე ვიტყოდი რომ, არა, რა არის უმთავრესი მიზეზი?

ჩვენ ვღებულობთ სხვადასხვა ცირკულიარებს ცენტრიდან, ასლი მოსდის აღმასკომებს და მაზკომებს, სადაც არის მტკიცე მითითება თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღოს ტერ აღმშენებლობაში, მაგრამ ასრულებენ ამას თუ არა?—მე ვიტყოდი რომ, არა. ასრულებს მხოლოთ მათი 10 პროც. (მე მაქვს მხედველობაში აღმოსავლეთ საქართველო) აქ პირდაპირ შეუძლებელია მიმართოდ ადგილობრივ ორგანოებს რაიმე დახმარებისათვის მით უმეტეს ნივთიერის.

მომყავს ერთი შემთხვევაც. ადგილობრივ კომ-კავშირის ორგანიზაციას უნდა გამოეყო ჯგუფის პოლიტხელები და პრაქტიკაზედ უნდა გადეგზავნა მე-6 ლეგიონში გადასაზმადებ ლ კურსების გასავლელათ, გამოვყავით და როდესაც მიდგა საკითხი ფინანსზედ ყველამ უარი გვითხრა. ტრანსპორტით დახმარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ათასეულს კი საშვალება არა აქვს რომ თავისი საშვალებით შეასრულოს ყოველივე ეს.

საჭირო არის ამნაირი მწვავე საკითხები ერთხელ და სამუდამოთ გადიჭრას, ჩვენ სასარგებლოდ, და მაშინ ჩვენ მუშაობას არ ექნება შეფერხება და მეტ ნაყოფს მოუტანს ტერ აღმშენებლობას.

დ. ჭანკვეტაძე.

## „მოსე მწერალი“ გლეხკომში.

**(სოფ. ხრეითი, შორაპ. მაზ.)**

როდესაც 1903 წელში დაბადებულ ახალგაზრდებს იწვევდენ წითელ ჯარში სამხედრო ბეგრის მოსახდელად სოფ. ხრეითის მცხოვრებს ელისო ვლადიმერის-ძეს და სიმონ ნესტორის-ძე ცერცვაძეს მიცემული ჰქონდათ სათანადო მოწმობები, როგორც ოჯახის ერთად ერთ მარჩენალებს. აქ აღნიშნულ პირებს ამ მოწმობებთან ერთად ნდომებიათ თხოვნების დაწერაც, რომ შემდეგში წარედგინად მიმღებ კომისაში. მათ მიუმართავთ თხოვნის დაწერისათვის ადგ. გლეხკომის თავმჯდომარესათვის. უკანასკნელს დაუწერია მათთვის თხოვნა და თითოსათვის გადაუხდევნებია 1 მ. და 50 კაპ. ამას იქვე ხედავდა ადგ. აღმასკომის მდივანი მოქ. სერგო ჯაფარიძე.

ხსენებული ჯაფარიძე და გლეხკომის თავმჯდომარე ლოლაძე ყველას ასე ექცევიან.

საჭიროა ამ გარემოებას სამაზრო აღმასკომმა მიაქციოს სათანადო ყურადღება.

ჯიბლო.

## ვმუშაობთ სოფლად წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ჩატარებისათვის.

**მე-4 ლეგ. მე-9 ასეული.**

9 ნოემბერს შესდგა ლეგიონის და სამაზრო პარტიული ორგანიზაციის სხდომა, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა ამხ. კალანტაროვი სოფლებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ. ამხანაგმა აღნიშნა, რომ საჭიროა სოფლებს მიეცეს კამპანიის გასატარებლად შესაფერად მომზადებული ამხანაგები.

ამას გარდა საჭიროა დახმარება სხვა და სხვა სამოსწავლო ნივთებით.

ნაწილმა თავის მხრივ განაცხადა სურვილი ენერგიული მონაწილეობა მიიღოს ამ უდიდესი საქმის ნაყოფიერად ჩატარებაში.

ამას გარდა ლეგიონიდან გრძელ ვადიან შვებულებაში გაშვებული ცვალებადელები ხშირად მოდიან ნაწილში ეცნობიან აქ წარმოებულ მუშაობას განმეორებით და ჩვენც ვაძლევთ დარიგებებს თუ როგორ უნდა იმუშაონ სოფლად სხვა და სხვა კულტურული მუშაობის ჩატარების დროს.

სამხკორი ა. იმერლიშვილი.

## წითელი ყაზარმა.

საღამოს 8 საათია. ყაზარმა მოგაგონებთ [სახელოსნოს ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილ მუშებით, რომლებიც ყველა თავის სამუშაოს ასრულებენ.

წითელ არმიელთა თითეული ჯგუფი აკეთებს მას, რაც აინტერესებათ. სხედან რემედასის კუთხეში, კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, ათვალიერებენ მათში სურათებს, თუ როგორ ეპყრობიან დასავლეთ ევროპის მუშებს.

სანახაობით შეძრწუნებული წითელ არმიელები ფიცს აძლევენ ერთმანეთს, რომ სოფლად დაბრუნების შემდეგ მთელ ენერგიას მოახმარებენ რემედასის მნიშვნელობისა და დანიშნულების გაშუქებას, მოაწყობენ რემედასის უჯრედებს და ამით დაეხმარებიან კაპიტალისტების მიერ საპყრობილეებში გამომწყვდეულ მუშებს.

აგერ წითელ არმიელების ერთ ჯგუფს თავი მოუყრიათ ლენინის კუთხეში—კითხულობენ გაზეთებს, ზოგი ბროშიურებს, ზოგი კი წერილებსაც წერენ კედლის გაზეთისათვის. აქვე თამაშობენ ჭადრაკს. მეორე ოთახში კი მიდის დრამატიული წრის რეპეტიცია; ამზადებენ გამოსათხოვარი საღამოსათვის პიესას.

იქ საკლასო ოთახში გეოგრაფიის რუქასთან შეგროვილან ზოგიერთი წ. არმიელები და ეძებენ თავიანთი სოფლების მდებარეობას. ზოგი ანგარიშობენ ჩოთქზე, და ზოგიც გაკვეთილებს ამზადებენ.

გაისმა მეცადინეობის გათავებისა და შეკრების ნიშანიც. ყველანი დგებიან ამოკითხვაზე, რომლის გათავების შემდეგ ყაზარმაში ჩამოვარდა სიწყნარე, დღის მუშაობით მოქანცული არმიელები ტკბილ ძილს ეძლევიან. დღიური დადის ამხანაგების საწოლებს შორის და თვალყურს ადევნებს—საბანი არავის გადაეხადოს და არ გაცივდენ.

დილით ადრე კვლავ ცოცხლდება და სუფთავდება ყაზარმა. ჩაის შემდეგ ყველა უცდის უფროსის განკარგულებას. აგერ წითელ არმიელებს მოსვლიათ, ავადმყოფობის გამო შვებულებაში წასულ ამხანაგის წერილი. ის საყვარელი ამხანაგი იყო მთელ ასეულში. წერილში ყველა ამხანაგების შესახებ იწერება, გამოსთქვამს ჩვენდამი თავის კარგ სურვილებს და ბოლოს შემდეგსაც გვატყობინებს:

— ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის დღეს მე საქონელს ვმწყსავდი მინდვრად. უეცრივ გამოჩნდა შორს ჰაეროპლანი. ჩემთან მყოფი მწყესები შეშინდენ და გაიქცენ მიუხედავად იმისა, რომ მე ვარწმუნებდი, ის საშიში არ იყო. მათ თავის დღეში არ ენახათ თვითმფრინავი. რამოდენიმე ხნის შემდეგ ჰაეროპლანიდან გადმოყარეს ფურცლები, რომლებსაც დავედევნე და დავიჭირე. წითელ არმიაში, რომ არ ვყოფილიყავი ამ ფურცლებს მეც თამბაქოს გასახვევად გამოვიყენებდი, მაგრამ ტყვილა არ შემისწავლია ყაზარმაში წერა-კითხვა. მე ჩაუჯექი ფურცლებს და დაწვრილებით გავარჩიე-წავიკითხე. საგლეხო სესხის შესახებ იყო მოთხრობილი, რაც შემდეგ დაწვრილებით გავაცანი სხვა გლეხებს.“

წერილის დასასრულს ის გვწერდა, რომ მოუთმენლად ელის ჩვენს დაბრუნებას სოფელში, რომ საერთო ძალით შეუდგენ სიბნელით მოცული სოფლის გამოფხიზლებას. მარტო მას კი ძლიერ უძნელდება მუშაობა.

აი როგორ ვატარებთ დროს წითელ ჯარში, ხოლო სახლში დაბრუნების შემდეგ აქ მიღებულ ცოდნას გამოვიყენებთ იმათთვის, ვისაც კიდევ არაფერი უნახავს და გაუგონია.

წ. არმ. პეტრაიტი.

## პარტიული ცხოვრება

**მე-6 ტერლეგიონი.**

დეკემბრის 1 პირველ რიცხვებიდან დაიწყება წვევამდელთა მომზადება. ამ საქმის ნაყოფიერად ჩატარებისათვის მთავარი როლი უნდა ითამაშონ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა. თუ ისინი გაუწევენ სათანადო დახმარებას მორიგი კამპანიის შედეგებიც დამაკმაყოფილებელი იქნება. ამ მიზნით ლეგიონის ბიურო კოლექტივიც აწარმოებს წინასწარ სამზადისს.

20 ნოემბერს მოწვეულ იქნა ბიურო კოლექტივის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა წვევამდელთა შორის მომუშავე პოლიტხელების სემინარების მეცადინეობის გეგმა. გეგმის თანახმათ კურსების იდეური ხელმძღვანელობა მიენდო ამხ. ხუციშვილს და მურადოვას. ხოლო ლექციების ჩასატარებლათ გამოყოფილ იქნა შესაფერისათ მომზადებულ ამხანაგების მთელი რიგი. კურსების მეცადინეობა დაიწყება 23 ნოემბერს და გასტანს 30 ნოემბრამდე. ეს კურსები გაერთიანებენ 2 არტლეგიონის საკავშირო მესანგრე ასეულების და ცალკე ცხენოსან ესკადრონის პოლიტხელე საც. მსმენელთა რიცხვი აღწევს 76 კაცამდე, რომლებიც გამოძახებულ იქნებიან იმ მაზრებიდან, სადაც ჩვენ ლეგიონს აქვს სამოსწავლო წერტები. ერთი კვირის სისტემატიური მეცადინეობით მათ ექნებათ სწორი წარმოდგენა თავიაათი მოვალეობის შესახებ. კურსების დამთავრების შემდეგ ის ამხანაგები დაგზავნილ იქნებიან სამოსწავლო წერტებზე, სადაც შეუდგებიან თავიანთ მუშაობის წარმოებას.

სამხკორი ე—ლი.

## ახკომკავშირელთა შორის.

### ქართ. ცხენ. ლეგიონი.

18 ნოემბერს შესდგა ცხენ. ლეგიონის ყველა ჯგუფების გაერთიანებული კრება. კრებაზე გაკეთებული იქნა მოხსენება ახალწვეულ კომკავშირელის მუშაობის შესახებ ჯარში, რომელმაც ვრცლად გააცნო ახლად მოსულ ამხანაგებს ჯარში მუშაობის თავისებურებანი და მრავალი სხვა საყურადღებო წესები. ახალწვეული ამხანაგები მრავალ შეკითხვებს აძლევდენ მომხსენებელს. საერთოდ ეტყ ბათ მუშაობით დაინტერესება.

მოხსენების შემდეგ მოხდა სარაიონო კონფერენციისათვის დელეგატების არჩევნები. ამორჩეული იქნა 8 კაცი.

მიმდინარე საკითხებში შამოტანილი იქნა განცხადება ბიურო კოლექტივის სახელზე აგრონომიული წრის გახსნის შესახებ. ბიურო კოლექტივმა კრებას აღუთქვა ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა ამ საქმეში.

სამხკორი პ. წადარეიშვილი.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი

### მოგვეცით საათი.

### 2-რე ლეგიონი.

ლეგიონში დიდი ხანია უკმაყოფილებას იწვევს უსაათობა. საყარაულო შენობისთვის აქამდე ვერ მოხერხდა მოეცათ ერთი საათი.

გუშაგების გასვლა და გამოცვლა ამის გამო ვერ ხდება თავის დროზე. ხშირად მივმართავთ ელსმენის საშუალებით ცენტრალურ სადგურს დროს გასაგებათ, მაგრამ იქედანაც არ გვეუბნებიან. მოგვეცით ერთი საათი და გამოგვიყვანეთ უხერხულ მდგომარეობიდან.

წ. არმ. ე ქურციკიძე.

## ახალი ამბები.

— საქ. ცაკმა შეუცვალა სიკვდილის განაჩენი, მისჯილი სახელმწიფო თანხების გაფლანგვისათვის, მოქალაქე ანანოვს ათი წლის ციხით.

— დაიწვა 600 დესეტინა ტყე. სამხრეთ ოსეთში 4 ნოემბერს ტყეს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც იწვოდა ოთხი დღე. დაიწვა 600 დეს. საუკეთესო ტყე.

— შინ. საქ. სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა მოხალისე ცეცხლის მქრობელთა რაზმის წესდება.

— ამ ჟამად სწარმოებს საჰაერო კავშირის მოწყობა ტფილის-ბაქოს შორის.

— ტყვარჩელის გოგირდის წყაროები გადაეცა ადგილობრივ საკურორტო განყოფილებას.

— ამიერ-კავკასიის კოოპ. კავშირი ახლოხანში ამერიკიდან მიიღებს 1 მილიონ მეტრ ნარმას.

— ოქტომბრის განმავლობაში ტფილისის ტრამვაის გადაუყვანია 3.561.358 მგზავრი ანუ ორჯერ იმდენი, რამდენიც შარშან ოქტომბერში.

## ამბები სოფლებიდან

**სამხ.-ოსეთის** ცაკმა გაანაწილა საქ. სას.-სამეურნეო ბანკიდან მიღებული სათესლე სესხი თემებს შორის.

**ახალქალაქის** აღმასკომმა დაადგინა პრემიები მისცეს იმ თემებს, სადაც საუკეთესოდ ჩაატარებენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადს.

**სოფ. კახპის** სათემო აღმასკომმა გლეხებს აუკრძალა სარწყავ არხებიდან უგეგმო წყალის გადაყვანა.

**სამხედრო წერტები.** ოზურგეთის აღმასკომმა საჭიროდ სცნო მაზრაში 9 სამხედრო სამოსწავლო წერტის დაარსება.

**თელავის** მაზრაში ახლო ხანში დაიწყება მინდვრის მავნეებთან ბრძოლის კამპანია.

## უცხოეთის არმიებში

**იაპონური ახალი წყალქვეშა ნავები.**

ოქტომბრის პირველ რიცხვებში ქ. იოკოსუკოში (იაპონიის ქალაქია) ჩაუშვეს ახალი ტიპის წყალქვეშა ნავი წყალში. ეს ნავი ყველა წყალქვეშა ნავებზე უფრო ძლიერია, რომლებიც კი იმყოფებიან ამ ჟამად იაპონიის ფლოტში. ნავის აგება დაიწყეს 1924 წელში იაპონელი ინჟინერების გეგმის მიხედვით, რომელშიდაც შეტანილი იქნა ახალი გაუმჯობესებანი, ახალი ნავის წყალტევა უდრის 1.700 ტონს (ტონში 61 ფუთი). ნავს შეუძლია მთელ წყნარი ოკეანეს გადავლა საწვავი მასალის მეორეთ დაუმატებლად.

**ლატვია იძენს ჰაეროპლანებს.**

ლატვიაში ამხ. ახლო მომავალში აპირებენ საკუთარი ჰაეროპლანების დამზადებას. ჰაეროპლანებისათვის საჭირო მატორები გამოწერილი იქნება ინგლისიდან.

**მარშალ ფინ-იუ-სიანის ახალი სამხედრო სკოლა.**

მარშალ ფინ-იუ-სიანმა (ჩინეთის სახალხო არმიის სარდალია) გახსნა ახალი სამხედრო სკოლა, რომელშიდაც ღებულობენ ჩინელ სტუდენტებს სამხედრო ცოდნის მისაღებათ სკოლის კურსის დამთავრების შემდეგ, ჩინეთის ჯარს მიეცემა ევროპიულად მომზადებული სინელი ოფიცრები. რადგანაც მთხოვნელთა რიცხვი მრავალია ფინ-იუ-სიანს განზრახული აქვს აღნიშნული სკოლის გაფართოება.

ამ ჟამად სკოლის სათავეში სდგას ცნობილი ჩინელი პოლკოვნიკი ჩენ-ჩე-ჟე. ლექტორებად მოწვეული არიან სამხედრო აკადემიის წევრები და პეი-იანის სამხედრო სკოლის გამოცდილი სამხედრო სპეცები მათ შორის იმყოფებიან უცხოელი ინსტრუქტორებიც. სტუდენტთა რიცხვი ჯერ-ჯერობით განსაზღვრულია შემდეგ ნაირად: ფეხოსანი ჯარის-სამი განყოფილება-300 კაცი; ცხენოსანი-ერთი განყოფილება—100 კაცი; საინჟენერო ჯარები-ერთი განყოფილება-100 კაცი. სულ 600 სტუდენტი.

სტუდენტების აღმზრდელობითი სისტემა და ცხოვრება ისეთივე იქნება როგორც ვამპუს სამხედრო სკოლაში. გამონაკლისია ის, რომ სკოლაში ასწავლიან რუსულ ენას, ერთად ერთი უცხო ენა, რომელსაც შეისწავლიან სტუდენტები.

## მეცნიერება და ტეხნიკა

### საით მიემართება ჩვენი მზის სისტემა.

როგორც გვასწავლიან მეცნიერები და ეს დამტკიცებულიც არის ჩვენი მზის გარშემო დედამიწის გარდა მოძრაობენ სხვა ცდომილებიც (პლანეტები) დედამიწის მსგავსი სხეულები ზოგი უფრო დიდი და ზოგიც პატარა. ეს სხეულები დედამიწის თანმტნევით კიდევ ტრიალებენ თავისი ღერძის გარშემო, ხოლო თავის მხრივ მზე მის სისტემაში შემავალ—მის გარშემო მბრუნავ სხეულებით, ჩვენ დედამიწასთან ერთად—კიდევ მიჰქრის მსოფლიო დაუსრულებელ სივრცეში და მიჰქრის ერთი განსაზღვრული მიზნისაკენ.

ეს საკითხი, მზის მოძრაობა მისი სისტემით მსოფლიო სივრცეში, მხოლოდ მაშინ დაისვა მეცნიერების წინაშე, როდესაც გამოირკვა, რომ ყველა ცის სხეულები და მათ შორის ე. წ. „გაჩერებული ვარსკვლავებიც" მოძრაობენ მსოფლიო სივრცეში. მზის სისტემის მოძრაობა სივრცეში და ამის დასაბუთებას სწავლულები ამყარებენ ერთ უტყუარ და ყველასათვის ცნობილ გარემოებაზე. მაგალითად: თუ შორს იმყოფება ერთი ერთმანეთისაგან საგრძნობლად დაცილებულ საგნებისაგან, ისინი გეჩვენებიან ერთმანეთთან ძლიერ დაახლოვებულად, ხოლო როდესაც კიდევ უფრო შორდები მათ, ისინიც კიდევ უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს. ამ საგნებისადმი დაახლოვების დროს ისინი სცილდებიან ერთიმეორეს. ასე ეჩვენება ჩვენს თვალს. ეს მოვლენა ძლიერ ადვილი შესამჩნევია რკინის გზის ლიანდაგზე. თუ გავხედავთ რკინის გზის ლიანდაგს გვეგონება, რომ ისინი შორს სადღაც უერთდებიან ერთმანეთს, ხოლო რაც უფრო უახლოვდებით ამ წერტილს თანდათან უფრო ვრწმუნდებით შორიდან დანახულის სიყალბეში.

ასეთივე სურათი მეორდება, მხოლოდ უფრო გრანდიოზული (ძლიერ დიდი) სახით, მზის მოძრაობის შესახებ თუ დაუკვირდებით ვარსკვლავების მოძრაობას. ის ვარსკვლავები, რომლებიც იმყოფებიან იქ საითკენაც მიემართება მზე თანდა თან უფრო სცილდებიან ერთმანეთს, ხოლო უკან დარჩენილი ვარსკვლავების დაკვირვება კი წინააღმდეგში გვარწმუნებს ე. ი. თითქოს ისინი სცილდებოდენ ერთმანეთს.

ამიტომ როგორც სჩანს მზის მოძრაობის მიმართულების გასაგებად საჭირო ყოფილა ამ ორი წერტილის გამონახვა ცის თაღზე—ერთი რომლისკენაც მიჰქრის მზე და მეორე მისი მოპირდაპირე ე. ი. რომელსაც თანდათან სცილდება ის. მაგრამ ესეც არც ისე ადვილი შეიქნა. საქმე იმაშია, რომ ვარსკვლავებსაც აქვთ თავისი საკუთარი მოძრაობა, იმ მოძრაობას გარდა, ან როგორც მეცნიერები იტყვიან იმ მოჩვენებითი მოძრაობას გარდა, რომელიც გამოწვეულია ჩვენში მზის მოძრაობით.

(გაგრძელება იქნება)

## პასუხი შეკითხვებზე.

**ანაშვილს.** თუ ერთი წლის სამსახურის შემდეგ ჩააბარეთ გამოცდები საშუალო მეთაურზე, მაშინ წახვალთ უვადო შვებულებაში.

**ა—შვილს** თქვენი შეკითხვა ბუნდოვანია. არ ვიცით საიდან გინდათ გადასვლა უმაღლეს სასწავლებელში. მოიწერეთ გარკვეულათ.

**მუზაშვილს.** თქვენს ოჯახს უნდა დაეხმაროს აღმასკომი. მიმართედ მას.

**კანდრევიჩს.** თუ თქვენი უმცროსი ძმა თქვენს რჩენაზე იმყოფება, იმ შემთხვევაში ის უნდა გაანთავისუფლონ სწავლის ფულისაგან (საკავშირო ცაკის დადგენილება 29 ოქტომბერს 1924 წ.)

**მ. ს. წ. ა.** არ შეუძლია კავშირის წევრი იყოს. სამსახურის გათავების შემდეგ პირველ რიგში მიგიღებენ.

**არსენიძეს.** გადასახადისაგან თავისუფალი ხართ, თუ თქვენ მიერ დატოვებულ სახელოსნოში დაქირავებულ შრომით არ სწარმოებს მუშაობა.

**გოგიშვილს.** კანონი ყველაზე ვრცელდება. თუ საშუალო ცოდნა გაქვთ, შეგიძლიათ ერთი წლის შემდეგ ჩააბაროთ გამოცდები საშუალო მეთაურზე.

**დიასამიძეს.** თქვენ თავის დროზე, როგორც სჩანს, არ წარგიდგენიათ საჭირო საბუთები მიმღებ კომისიისთვის. შეგიძლიათ თქვენი უფროსის საშუალებით მიმართოდ მთავარ მიმღებ კომისიას.

**ცხელიშვილს.** მოკლე ვადიან შვებულებისთვის უნდა მიმართოდ თქვენს უფროსს. ტერნაწილში გადარიცხვა არ შეიძლება.

**ა. გე—ძეს.** 1903 წ. დაბადებულებმა უნდა იმსახურონ ორი წელი ქვეითა ჯარში.

**არბოლიშვილს.** მეორე რიგში მიმავალ უვადო შვებულებაში წ. ა. მიეცემათ მეორე ვადის ტანსაცმელი.

**ყრუაშვილს.** მუშფაკში შესვლა შეგიძლიათ თქვენი უფროსის ნებართვით. თქვენთვის საჭირო ცნობების მისაღებათ მიმართეთ ფაკულტეტის ადმინისტრაციას.

**კოლოტაურს.** თუ ცოტა გაქვთ მიწა, ამის შესახებ უნდა მიმართოთ მიწის კომისიას.

**კვესს.** თუ მეცადინეობა სწარმოებს შაშხანით, მაშინ ოცის თავის თანაშემწესაც გამოაქვს შაშხანა.

**თავაძეს.** წ. არმიელები, რომლებიც თავის უფროსის ნებართვით დადიან სასწავლებელში, თავისუფლდებიან სწავლის ფულისაგან. (საკავშირო ცაკის დადგენილება 29 ოქტ. 1924 წ.)

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სამხედრო სკოლის მე-2 ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1) დოლიძე ალექსანდრე მაქსიმეს-ძეს, (ოზურგეთის მაზრის მცხ. გლეხი, უპარტიო) და 2) ღვინიაშვილი გიორგი მიხეილის-ძეს (სიღნაღის მაზრის მცხ. გლეხი უპარტიო.)

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო მათი კომპარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ რვა დღის განმავლობაში.

ქართულ გაერთ. მეთ. სამხ. სკოლის მე-2-ე ასეულის კომუჯრედის ბიურო.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ჭკადუას** (3-მე ლეგ.) თქვენი წერილი „ქუჩაშიც საჭიროა წესრიგი და ზრდილობიანობა" გადაეცა 1-ლი დივიზიის პოლიტგანყოფილებას.

**ამხ. გ. ჭაველს** (3-მე ლეგ.) თქვენი წერილი „საზეიმო დღე 3-მე ლეგიონში" არ დაიბეჭდება. ამაზე იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. რ. ქორს** (მეთაურთა სკოლა) შამოიარეთ რედაქციაში.

**ამხ. ამხ ჩონტუნიას** (ცხენ. ლეგ.) **ნიჟარაძეს** (არტლეგიონი) კორესპონდენციები: „მიაქციეთ ყურადღება" და „1-ლი არტლეგიონი". არ დაიბეჭდება. ასეთი ხასიათის წერილები იყო ერთხელ.

**ამხ. არაბიძეს** (ცხენ. ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია: „მოგვაქციეთ ყურადღება" გადაეცა ლეგ. ექიმს.

**დაკარგე** ჭიათურის საქთამადნო პროფკავშირისაგან გაცემული წიგნაკი № 341 იობა აქსენტის-ძე აბრამიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიკარგა** 16 ნოემბერს სადგურის ქუჩაზე № 17 სამხედრო სახლში „ივერია" ლუქის ბეჭედი შემდეგი წარწერით: „ქალაქის კომენდანტის სამმართველოს საბინაო ნაწილი". ჩაითვალოს გაუქმებულად. მნახველი ვალდებულია აღნიშნული ბეჭედი წარადგინოს ქალაქის კომენდანტის სამმართველოში.

ქ. თბ. კომენდანტის დროებ. თანაშემწე ნაკაშიძე.
ქალაქის კომენდანტის ადიუტანტი ზართანოვი.

**დაკარგე** ტერიტორიალურ სამმართველოდან გაცემული სამსახურის წიგნაკი № 14 ვანო ილიას-ძე კუკუჯანაშვილის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.